



**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

აბაზი

აბაზი, ფულის ერთეული, ვერცხლის მონეტა. ირანში შემოიღო აბას I-მა (აქედან სახელწოდება). ა. სწრაფად გავრცელდა მეზობელ ქვეყნებში, მ. შ. საქართველოშიც. აბას I-ის დროინდელი ა-ის მასა 7,8 გ უდრიდა, XVIII ს. დასასრულს 3 გ-მდე შემცირდა. შეიცავდა 2 მაპმუდს (უბალთუნს). ა-ის ავერსზე წაწერილი იყო შაპის სახელი, ტიტულატურა, მოქრის ადგილი და დრო, რევერსზე – რელიგ. ფორმულა. საქართველოში ა-ს ჭრიდნენ XVII ს. I მეოთხედიდან XVIII ს. მიწურულამდე. შემდეგ, XX ს-ში, საქართველოში ა-ს უწოდებდნენ ოცკაპიკიანს.

დ. კაპანაძე
